


ვეზეის-ტყაოსანი

ხუთ სურათად



შოთა რუსთველ-ოქროშირ ბაყონი შვილისებურად

1/2
K/3796

გამოკრეფილ-დაწყობილი

შეტრე მირიანიშ გილის
მიერ.



ტვილისი.

ელექტ. - მბეჭდ. სტამ. ს. ლისაბერიძისა, მოსკ. ქ.

1915.

ჭ ი ნ ა - ს ი თ ჟ ვ ა ღ ა ბ ა

”გეფხის ტუათსანი“ შოთა რუსთველისა დაქოპირბართნიშვილმა გადმოცაკეთა რუსთველისებურად ხეთ მოქმედებიან ტრაგედიად. მაგრამ ოთვები შიგ იმდენად გაჭიანურებულია, რომ წარმოდგენა უფლად შეუძლებელია, ამასთანავე დაქოპირის ტრაგედიასა აქვს ერთი დიდი ნაკლი: ნესტან დარეჯანისა და ტარიელის მიჯნურობა მოთხოვილია, რაიც დრამას არ უხდება. ჯერ ოთვები შევამჰყენ ისე, რომ დედა აზრის განვითარება არ დაბრკოლებულიყო, ადვილ დასასწავლიც უფლისებურობერმე თვით ამავი ტარიელის მიჯნურობისა გავაუქმე და მის მაგიერ შემოვიტანე ახალი დრამატიული სცენა ამავე მიჯნურობისა; ვეფხისტუათსნურადვე გადმოცებული, და მოვათავსე პირველ სურათად, რათგანაც ტარიელის გაჭრა უწინ, ხოლო მისი ნახვა როსტევან მეფის უმათაგან მოჰქმდა მასუეან.

შეტრე მირიანიშვილი.

15, X, 1909

ქ. ტფილის

მოქმედნი პირნი:

ფარსადან, მეფე ინდოეთისა ოსტევან, მეფე არაბეთისა
ხვარეშან, მეუღლე ფარსა თინათინ, მისი ასული
დანისა ავთანდილ, მეფის სპასპეტი
ნესტანდარეჯან, მათი ქალისოგრატ, გეზირი
ტარიელ, ამირბარი, ძე ინ-ზორა, მოახლე თინათინისა
დოთ მეფის სარიდანისა შერმადინ, მეგობარი და
ასმათ, მხევალი და მეგობარი მსახური ავთანდილისა.
ნესტან დარეჯანისა.

დავარ ქაჯი, ფარსადან მეფის და.

დულარ, დედოფალი ქაჯეთისა

ფატმან ხათუნი, დიდეაჭრის ცოლი

ფერია, მოახლე ქაჯი ნესტანისა

ჩაჩნაგირი, ანუ სუფრაჯი ფატმანის დარბაზისა,
მისივე საუკარელი.

ფრიდონ, მეფე მულდაზანზარისა,

მოახლე ქაჯი ფატმანისა

მონები როსტევან მეფისა, ერი არაბეთისა, ფარსადან მე-
ფის კარის კაცნი. ლაშქარი არაბთა, ფრიდონ მეფისა და
ქაჯთა. ხორთ ქალვაჟთა. ფერიებისა და ქაჯების ბალეტი.

არაბებს არაბულად, ინდოებებს ინდოერად და ქა-
ჯებს ქაჯურად აცვიათ.

მოქმედება სწარმოებს არაბეთისა, ინდოეთს და ქა-

სურათი I.

ნესტან დარეჯანის ციხე-დარბაზის ხალვათხანა ინდოეთში,
ბაღჩასა და ზღვას გადაჭურებს.

ტარიელ, ფარსადან, ხვარეშან, ნესტან-დარეჯან,
კარის-კაცნი, დავარ.

სანახავი 1.

ტარიელ შემოდის.

ზეფეს ვეხმე. ნეტა რა ჰსურს?
შველგან ჰსუფევს მორჩილება.
ვერ ვინ ჰბედავს, დაარღვიოს
ღლევანდელი მყუდროება.

ფარსადან შემოდის ხეარეშან დედოფალთან ერთად ამა-
ფითა. მიჭმართავს ტარიელს.

მაღლი ღმერთსა! ჰქედავ ასრე
ღაგვაბერა, დაცაგვლია!
შრმა არ მოგვცა, ქალი გვივის,
ვისგან შუქი არ გვაკლა.

აწ ქალისა ჩვენისათვის
ქმარი გვინდა გამოვპნახოთ,
რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი,
სახედ ჩვენად გამოვჰსახოთ.

ტარიელ გაოცებული და აღელვებული ისმენს საუბარს.

თქვენისა ძისა არა სმა.

გულსა ვით მიეფარების?
მაგრამ კმა ჩვენად იმედად,
ვინ მზესა დაედარების.

ფარსადან.

ალბალ გსმენიათः ხვარაზმშა
ხელმწიფე ხვარაზმელია!
თუ მოგვცემს შვილსა საჩვენოდ,
მისებრივ არ რომელია.

ხვარეშან.

რაღა თქმა უნდა, ხვარაზმშა
მეფეა მორჭმით მჯდომელი;
მათსამცა შვილსა სასიძოდ
ჩვენთვის სხვა სჯობდეს რომელი?

ტარიელ თრთავ.

მისცა სთხოვთ შვილსა სასიძოდ,
მას დიდად გაეხარების,
სხვამცა რა გყადროთ, თვით იცით,
მაგას რა მოეგვარების.

ფარსადან.

შვილად გვიჩანხარ, ტარიელ,
თათბირსა ამად დაგისწართ;
ზვენახოს ბედი ნესტანის
და მისი სრბოლა სულ წალმართ!

გადის, დედოფლალიც გაჟუშება ამალა თანახლებული.
ტარიელ თავისთვის.

აქა ყოფნა გამამელავნებს.

სახლსა ჩემსა მივაშურებ,
თვარა ვიწვი სახმილისგან,
აქ დარჩენით გულს ვიწყლულებ.

ღმერთო, ღმერთო, ნუ გამწირავ,
აჯა ჩემი შეისმინე!
მომეც ძალი დათმობისა,
ცოტად ვითმე აღმაღვინე.
დააპირებს წასვლას.

ნესტან დარეჯან შემთიჭრება და რისხვით შეაუენებს.

გეგონა, ვერ შევიტყობდი,
რად მოგიხმეს სრა-დარბაზსა?
დაგისკვნიათ, მიმათხოვოთ
სპარსთა ქვეყნის ხვარაზმშასა.

თუ მშობელთა გამიმეტეს,
შენ ვით დაპროე იმათ ნება?
უმაღ მიწამ პირი მიყოს,
თუ ვპნახე მის მოყვანება!

გამკვირვებია, ვით სკოცხლებ
შენ გამტეხელი. ფიცისა?
აბა, რა გკადრო პასუხი

ცარიელ.

მის ჩემგან მართ უვიცისა?

მე პასუხსა ვერას გკადრებ,
უკეთუ არ ვსცნობ მართალსა.
რა შეგცოდე, რა მიქმნია
უცნობოსა, ფერნამკრთალსა?

ნესტან დარეჯან.

ამის მეტსა რას გეუბნო
მოყუანსა და შენ მუხთალსა!
დიაცურად რად მოვპლორდი,
მე დაუწვავ ამაღ ალსა.

ტარიელ აიღებს მუსაფს, რომელიც კუთხეშია თაროზე
და გაჭმლის.

მსე სიტყვა, რომე გკადრებ,
აწ თუ ცუდად ნალიჭნია,
ცამცა მრისხავს, თუ იკითხავ,
ავი არა არ მიქმნია.

მე თუ, მზეო, დედოფალო,
შენთვის ფიცი გამეტეხოს,
ლმერთმა აწვე რისხვა თვისი
ჩემთვის ზეცით დაამეხოს.

ნესტან დარეჯან.

არ დავიჯერებ მე შენსა
ლალატსა, ორ-გულობასა,
შარის ქმნასა ლვთისასა
ამისთვის არ მაღლობასა.

იაჯლი თავსა ჩემსა და
მორწმით ინდოეთს ფლობასა;
მე და შენ დავჭიხდეთ ხელმწიფედ,
სჯობს ყველა სიძე-სძლობასა!

ჭმობიერად დაუტკბება და ახლო მოისგამს.

ქვლავ თუ სიძე შემოუშვა,
 მე შემირთოს, იყოს ასდენ,
 მრთმანერთსა გავეყარნეთ,
 ძოწეულნი გაგვიფლასდენ,
 მათ მორჭმულთა მოივლინონ,
 ჩვენ პატიუნი გაგვიასდენ,
 მგე ამბად არ ეგების,
 რომე სპარსნი გაგვიხასდენ.

ტარიელ.

მაღალმა ღმერთმა აშოროს
 მას ყრმასა შენი ქმარობა;
 რა შემოვიდენ ინდოეთს,
 შევიგნა მათი ვვარობა,
 უჩვენო ჩემი ძალგული
 და ჩემი მეომარობა:
 დავჭხოცნე ასრე, შეეძლოთ
 ტლარას არ სახმარობა.

ნესტან დარეჯან.

ღიღსა სისხლსა ვერ შეგაქნევ,
 ვერ ვიქმნება შუა კედლად.
 რა მოვიდეს სიძე, მოჰყალ
 მიპარვითა, უცხადებლად.
 მისთა სპათაცა ნუ დაჭხოც
 ზროხათა, ვითა ვირთაო:
 ღიადი სისხლი უბრალო
 ძაცმანცა ვით იტვირთაო.

არა და ბნედა ბედითი
რა მდჯნურობა გვინია?
სჯობს, საყვარელსა უჩვენნე
საქმენი საგმირონია.

სანახავი 2.

ფარსადან შემთდის ამაფითა. ნესტან დარეჯან და ტა-
რიელ შეჰქრთებიან.

ტარიელს.

ხვარაზმშა სიძე მოჰბრძანდა
მორწილის გადასახდელად;
თან ახლავს ჯარი ურიცხვი,
ველარ ეტევა ტყე-ველად.
მოკაზმინე კარვითა
გარემოს მოედანია.
გამოისვენოს სიძემან,
დაჰყოს ცოტაი ხანია.

შენ მისდა ნახვად გავიდენ
უშენოდ სპანი სხვანია;
შენ აქა ჰნახენ, ნუ წახვალ,
შენგან ესეცა კმანია.

ნესტან დარეჯანს.

ბედნიერება შენი მიჩნს,
ბულისა გასახარელად.
გადავიხადო ქორწილი
თქვენდავე სადიდებელად.

გადის, ამაფა გაჭევება.

ნესტან დარეჯან თხერით, ბრაზ-მორეული.

ლომო ტარიელ, რას დგეხარ?
 ღლე მიგიჩნს წინ საომარე,
 ანუ გამწირე, მიტყუე
 და კვლავცა მოიმომცდარე!

ტარიელ.

ზულის ვარდო, აწ გამოსჩნდეს,
 არ მინდოდეს, ვისცა უნდი.
 განზე.

შალი ომსა რა გვარ მაწვევს,
 აგრე ვითა დავძიბუნდი!

დაქადებული გადის. დარბაზის ერთ გვერდის კარით შე-
 მოდის. ჩოჩქოლია.

სანახავი ვ.

ფარსადან მარტო შემოდის გულის წერომითა.

მომგვარეთ აწვე ტარიელ,
 შეუდგე საქმეს აღრიან.

კარის კაცნი.

შეფეო, აქ ალარ არის:
 სრა სადმე მას გაუვლიან.

ფარსადან.

ეხლა ნამდვილ ვიცი, ვიცი.
 შეტად კარგა შემიგიან.

მას უყვარდა ქალი ჩემი,
საქმროს სისხლი მოულვრიან.

რა პნახიან ერთშანერთი,
არ შეხედვა ვერ დასთმიან,
თათბირნიცა ქორწილისთვის
სულ უბრალოდ მიმართნიან.

ნესტანს.

თუ ტარიელ შენ გიყვარდა,
რად არ მითხარ გულ ახდილად?
ჩემი ასე რად შესცვალე
სიხარული სიმძიმილად?

ნესტან დარეჯან.

ნებასა შენსა, მამაო,
თავს ვინ სოვლის გაღამხდომელად?
შმნა სამართლისა მართლისა,
დიახ, ხეს შეიჭმს ხმელს ნედლად.

ტარიელ სპარსთა ვერა იჭმს
ინდოეთისა ჭამასა.
მისია მკვიდრი მამული,
არ მისცემს მათ არც დრამასა.

ფარსადან თავისთვის.

აწ თავმან ჩემმან, მას მოვჰკლავ.
ჩემად დად ვინცა მადესა;
მე ღვთისა უთხარ, დაუბაძს
მას ეშმაკისა ბადესა!

შათ ბოზკუროთა ასეთი
რა მისცეს, რა უქადესა?
თუ დავარჩინო, ღმერთი ეპვმო,
მისად პატივად მზად ესა?

გადის, კარის კაცნი გაჭევებიან ერთის ჭარდა.

კარის კაცი დაფარს, რომელიც შემოდის მეორე კართა.

თავი ჰფიცა ძმამან შენმან,
არ დაგარჩენს, იცის ერმან.

დავარ.

მე სრულიად უბრალო ვარ,
იცის ღმერთმან სახიერმან.

მოთქმით ნესტან დარეჯანს.

როსკიპო, ბოზო, დიაცო,
შმარი რად მოაკვლევინე?
ანუ სისხლითა მისითა
ჩემი რად მოაზღვევინე?

არ ცუდად მომკლავს ძმა ჩემი,
რა გიყავ, რა გაქმნევინე!
აწ ღმერთსა უნდეს, ვერ მიჰსვდე,
ვის ესე დააშლევინე.

ხელს მიჰყოფის, წამოჭიდავს, გრძელ თმებს დაუფუშავს.
რონი ქაჯნი ნავით მოდგებიან, მოიღებენ კიდობანს, შიგ
ჩასმენ ნესტან დარეჯანს და გაუდგებიან ზღვას.

მე ჩამდენელი ამისი

ՑՈՆ ԱՐ ԸԱՑԿՈՂՈՆԵՍ, ՅՈՆ ԱՐ—ԸԱ!
ՑՈՂՐԵ ԹՈՄԿՈՂՈՎՈՂԵՍ, ԹՈՎՅԿՈՎՈՂԵԾԻ,
ՏՈՒՌՈՒԵԼԵ ԳԱՏԱԲԻԿՈՆԱՐԾԱ.

ԸԱԽԱՆ ԸԱՌԵՋԵՄԵՍ, ԸԱՋԵՋԵՄԱ ԸԱ ԹԵՎՔՎՈՂԵՔԱ.

ԾԱՐԾԱ.

ს უ რ ა თ ი II.

ზორა, თინათან, როსტევან, ავთანდილ, ხორო,
სოგრატ, შერმადინ.

თინათინის ციხე-დარბაზი არაბეთში. სცენაზე თრი თახა-
ხია: ერთი წინ, სადაც პირველი წახევარი მოქმედება
სწარმოებს, ხოლო მეორეა მოშორებით შიგნით, სადაც
მძიმედ მოკაზმული ტახტი დგას და ზედ თრი სეჭია.
ერთი რთსტევანის, ხოლო მეორე თინათინისთვის.

ს ა ნ ა ხ ა ვ ი 1.

ზორა დაჩოქილი თინათინის წინაშე.

ბაღიყარე, ბატონო,
ლრუბელთ ეგე ჩერონი:
დღეს მიიღოთ არაბთა.
ბვირგვინი და სკიპტრონი.

დედოფალო, შენც უწყი
ეს ჩემი გულმტკივნება,
მაგრამ რისთვის ხარ ეგრედ,
რაა ეგ მოწყინება?

თინათინ ჭირი.

უძლურის ხელით მამის
ავილო მძიმე ხრმალი?
მტერთ გავსცემდე პასუხსა
ბუნებით მკრთალი ჭალი?

შით დასთმოს გულმა ჩემმა
 ფიქრი ესე საზარო:
 მაგა ჩემი მოჰკუცდა
 და უნდა გავეყარო.

ზორა.

ამა წუთი სოფელსა
 არვინ შეაბერდება;
 ბამოუცდელობისთვის
 ბული ნუ დაგიკრთება.

სპასპეტად გყავს ავთანდილ,
 ვერ ვინ ჰბადლობს ნორჩ გმირსა;
 მტრფის ეშხსა, რომელი
 თვალთაგან გამოგვირსა,

თინათინ.

ოვით ეგე ჰყოფს უმეტეს
 ჩემსა სალონებელსა.
 გაი თუ ამა ტახტმა,
 ზე ავდივარ რომელსა,

შეტროჩე დამაშოროს
 მას ჩემსა საყვარელსა,
 ვისთვის ჭირი ლხინად მიჩნს,
 ვისთვის დაცსთმობ სოფელსა.

ავთანდილ შემოდის.

ღედოფალო, დღეს დარბაზს
 შეურილან დიდკაცები,

მაგრამ ვიდრე გაჭხლება
ზეიმი და ზარები,

ბოხოვ, სიკვდილამდე შენი
ავთანდილ, ყმა ერთგული.
შკანასკნელ მონებთან
იყოსმცა შერაცხული.

თინათინ.

JK 3796 / 12
ისე რაგვარ გამომცვლის
ჩემი ახალი ყოფა,
რომ კულტედან გადვიგდო
შენ, კულითადობა.

ავთანდილ.

ახლოს მყოფს გერიდები,
შორეს გიახლოვდები;
დაგტრიალებ ყოველთვის,
თავსა შემოგევლები.

გამილტუმრე, საღაცა
ჯავრი გვირდეს. მტრებისა,
იქ ვასახელო სხივი
შენი ჯავარებისა.

თინათინ.

თუმცა ჩემ და შენ შორის
ნაპრალი ძევს დიდია;
თუმც გვირდვევს სვიანობას
სოფლის წესი ფლიდია,

შენია გული ჩემი
 და მაქვსმცა იმედია,
 ალარ ვიქმნე ბედ-სგან
 საწყლად განაკიდია,
 შემთდის ოჟიტევან მეფე ამალითა.

როსტევან თანათინს.

ერთა სვიანობისთვის
 შიქმნეთ მხნედ მოღვაწენი,
 შველა მზაა, გველიან,
 მოდი, გვჭირს სიჩქარენი
 თინაჯინ ტირილს იწყებს,
 აპ. მამავ..

როსტევან.

ნუ სტირ, ასულო.
 ისმინე ჩემი თხრობილი:
 დლეს შენ ხარ მეფე არაბეთს,
 ჩვენგან ხელმწიფელ ხმობილი.

ვარდთა და ნეხეთა ვინათვან
 მზე სწორედ მოეფინების,
 დილთა და წვრილთა წყალობა
 შენმცა ნუ მოგეწყინების.

უხვსა ჰმორჩილობს ყოველი,
 იგიცა, ვინ ორგულია.
 რასაცა გასცემ, შენია,
 რაც არა, დაკარგულია.

ამას რომ იტუვის, მოჰკიდებს ხელს თინათინსა და
წაიუვანს ტახტისკენ. უველანი ქახლებიან. დიდებულნა
ხარისხ-ხარისხად დგანან როსაფე მსარეს ტახტისას. უკან
ჭარის გაცემი და ერთა ბემაა.

ხორი. იწყებსშესხმის სიმღერას.

გაქებდეთ როსტენს
მეფეს ძლიერსა,
ალხინებ შენსა
მრს ბედნიერსა!

გარდი კოკობი
შენი ასული
მზისამცა ერთობ
დასთა დასული;

ზლახაკთ იმედი
და სასოება,
ჩვენი გვირგვინი,
ჩვენი მშვენება

ადიდოს ლმერთმა.
შველა შენ გეტროის
შოველი კაცი
შენს ბედს დაპნატრის.

როსტევან აიუვანს თინათინს ტახტზე, წინ დადგება და
ეტუვის დარბაზის ერთა.

დროთა ვერ მცვალეს, იგივ ვარ,

რაც ადრე ვიყავ ნდომითა,
ზრუნვა მაქვს თქვენთვის იგივე,
ისევ ვარ კის მინდობითა.

მაგრამ თქვენც ჰედავთ, სიბერე
მჭირს ჭირთა უფრო ძნელია,
დღეს არა, ხვალე მოვჰკვდები,
სოფელი ასე მემნელია.

რაღაა იგი სინათლე,
რასაცა ახლავს ბნელია!
ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფელ,
შისგან მზე საწუნელია.

სოგრატ.

მაგას ნუ პბრძანებ, მეფეო.
სიკვდილი დასაგმობია
თქვენი თათბირი ავიცა
სხვისა კარგისა მჯობია.

თუმცა ქალია ხელმწიფელ,
მართ ღვთისა ღანაბადია,
ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს, თუნდა ხვადია.

ამის შემდეგ როსტევან მეფე დაჭვამს თინათინს სელზე
და დაადგამს თავისი სელით გვირგვინსა, რომელსაც მო-
ართმევეს რონი დიდებული ტაბაკია, შემთარტყამს
ხრმალსა, პორტორის წამოასხამს და სელთ სკიპტრონს
მისცემს, იმ ფამად ხორც ჟმდერის.

ხორო.

ჰოი მოლხენავ!
ჰოი შვებაო!
ჰე ჩვენთა დღეთა
სვიანობაო!

ტახტე თინათინ
ჰზის მშვენიერი,
იშვებს, იხარებს
სულ მთლად სოფელი.

ჰოი მოლხენავ,
ჰოი შვებაო!
ჰე ჩვენთა დღეთა
სვიანობაო!

შეიქნება შეშპრობა კარის ახალგაზდა ქალვაჟთა ბალეტის
უძიდაზე საკრავ შეწყობითა. ბალეტის დროს როსტევან
მეფე დაჭვიქრდება.

ავთანდილ სოგრატ ვეზიონს.

სჩანს, ხელმწიფე ცუდსა რასმე
გონებასა ჩავარდნილა,
თვარა აქა სიმძიმილი
მათი ყოლე არა ქმნილა.

მოგახსენებ, სოგრატ, ვჰკითხოთ,
გვითხრას, რაც შეგვეცილა,
გვკადროთ რამე სალილობო,
რასათვისცა გაგვაწმილა.

აზგებიან, თითო ჭიქას შერბათით აიგსებენ, მიულენ და
მიუჩიტებენ მეფეს.

სოვრატ.

დაგიღრეჯია, მეფეო,
ალარ გიცინის პირია,
მართალ ხარ, წაჰედა საჭურჭლე
თქვენი მძიმე და ძვირია.

შველასა გასცემს ასული
თქვენი საბოძვარ ხშირია;
შოლამცა მეფედ ნუ დაჰსვი,
თავსა რად უგდე ჭირია.

როსტევან.

ვპნახეთ, ოდეს ვპნადირობდით,
უცხო მოყმე, სჯდა წყლის პირსა,
შავი ცხენი სადავითა
ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა.

აჸა, ღმერთსა მოეწყინა,
აქანამდე ჩემი შვება!
მოყმეს მისცა გამარჯვება,
ჩვენ სიმწრითა დანალვლება!

სიკვდილამდე დამაწყლულა,
გერ ვის ძალ უძს განკურნება,
მასვე მადლი, ესე იყოს
შადილი და მისი ნება.

თინათინ მიუხლოვდება.

უნდა გკადრო, ხელმწიფეო,

დალრეჯილსა ვინმცა გუნობდეს,
ვინმცა გნახა კადნიერად,
რაზომ გინდა ამაყობდეს.

თქვენი აგრე დალრეჯაი
მნათობთაცა დაამხობდეს,
ძაცმა საქმე მოაგვაროს,
ვეპვ, ჰმუნვასა ესე სჯობდეს.

როსტეფან.

მართალ ხარ, ჩემო ისულო,
სჯობს, ვეხსნე მწუხარებასა,
ჰმუნვისა გასაქარწყლებლად
ვეძებდე საშვალებასა:

გავა, დიდებულნი მიეფარებიან. დანარჩენებიც გავლენა.
გარდა ავთანდილისა და თინათინისა.

თინათინ სამეფო სამკაუჭს მოიხდის, ტახტზე დააწერდეს, ჩამოგა ძირს და მიჭმართავს ავთანდილს.

მამა რა მყავს სიმრავლით
შელთა დამძიმებული,
ველარ გაუძლებს ამ დღეს
მის ვნებიერი გული.

წა, მოსძებნე მოყმე იგი,
ჩემდა ტრთობა მით ამყარე,
იპყარ, მოდი, ლომო მზესა
შეგვეურები, შემიყარე.

ზიცით გითხრობ, შენგან კიდე
თუ შევირთო რაცა ქმარი;
შენი მკლევდეს სიყვარული,
ბულსა დანა ასაქმარი.

აგთანდილ.

მოგახსენებ, ჰოი, შზეო,
ვინ გიშერი აწამწამე,
სხვა პასუხი რამცა გკადრე,
ანუ რამცა შევიწამე.

მე სიკვდილსა მოველოდი,
შენ სიცოცხლე გამიწამე;
ვითა მონა სამსახურად
მაღანამცა წავე წამე.

თინათინ.

მსე ბაზმანდი, ჰა, წინდად
ჩემ, სა სიყვარულისა,
სურვილთა ამა გულისა
შენადმი შემჭვალულისა.

ჭედ ჩემი სახე ჰეხატია.
სხვა და სხვა არეს მავალი
მომიგონებდე, ყოველთვის,
როცა კი შეადგა თვალი.

აგთანდილ.

თავი ჩემი შემოგწირო,
სვასრულო შენი ნება,

მსე იყოს ჩემთვის მეტი
იმედი და მოლხინება.

თუცა მოვჰკვდე, ჩემ საფლავზე
სიხარულის ცრემლი ჰლვარე,
ჩრდილი ჩემი ანუგეშე,
საიქიოს ანეტარე.

თ ნათინ.

მაგას რა გვარ მეუბნები?
ასე რა გვარ გადაგწირო,
მე სიკვდილი შენი მესმას
და კვლავ მზის შუქს დავემზირო?

რა სამარე აგიშენო?
რასა ჰქვიან, დაგიტირო?
თუ შენ მოჰკვდი, შეცა მოვჰკვდე,
თავი ჩემი რად ვიძვირო?

შენი შუქი შემომაღვა
ბნელსა გულსა ზედან მჭვირსა,
შენი ვიყო, საღამდ სუა
დამიყოფდეს მიწა პირსა.

გამოესაფება ჩაკონგით და გავა.

სანახავი 2.

ავთანდილ დაფიქრებული მიჭმართავს შერმადინს, რო-
მელაც შემოდის.

ვართ უმოყვრესი მე და შენ

შოველთა პატრონ ყმათასა,
შე წავალ, ჩემ წილ დაგავდებ
პატრონად სპათა სპათასა.

აქათ სამ წელს არ მოვიდე,
მაშინ გმართებს გლოვა, ფლასი;
წიგნსა მოგცემ, გმორჩილებდენ,
შინკა იყოს, ჩემი ხასი.

შერმადინ.

ჩემდა ნაცვლად დაგავდებო,
შე სიტყვა რაღ მიბრძანე.
რა გვარა ვჰქმნა პატრონობა,
რამც გიფერე, რამც გიგვანე?

შენ მარტოსა გიგონებდე,
შემცა მიწა ვიაკვანე;
სჯობს, ორნივე გავიპარნეთ,
წამოგცები, წამიტანე.

აფთანდილ.

ლაშქრობა და ნაღირობა
შენი ჩემსა დაასახე;
რაც დრო გამცენ, მომიცადე,
არ მოვიდე, მივაგლახე.

მიეც გლახაკთა საჭურჭლე
ათავისუფლე მონები;

მიღვწიან, მომიგონებენ,
დამლოცვენ, მოვეგონები.

ზეჯს გაუწვდიან ერთმანეთს.

ფარდა.

სურათი III.

აფთანდილ, ასმათ, ტარიელ.

კლდეები და შესაზარი ადგიჭები. კლდეში ქვაბია ტარის
ეფისა, წინ მდინარე, შამბხარი და დიდრონი ჰეებია.

სანახავი 1.

აფთანდილ მარტო.

ბედმა ძლიეს არ მიმახვედრა
კვალსა ჩემგან ნაძებარსა!
მაგრამ როგორ მივახლოვდე
ძაცსა ე ზომ მიუკარსა?

ანუ მომკლავს, ანუ მოვკლავ;
ვიქმ საქმესა უშეცარსა.
აქ მოუკლი, ვიღრე ვპპოებ
ღონეს რასმე მოსაგვარსა.

მაგრ მ მესმის ტირილის ხმა,
ამრავლებენ გლახ ზახილსა;
რასა ჰნიშნავს ესე? გავალ
ამა ხესა გაფურჩქვნილსა.

გავა ხეზე და დაიმაჯება ფოთლებში.. ქვაბში თვალს
მოჭკრავს ტარიელს, ვეფხის ტეავით მოსილსა, და ას-
მათს შავად ჩაცმულსა.

ასმათ.

დმარა ეგე, დამიჯერე,

ნუ მოიკლავ თავსა ტკბილსა;
შენეობდე და დასძალვიდე
ბედსა ჩვენსა ამა წბილსა.

ტარიელ.

ვამე! ვით გავსძლო? მეღება
ალმური მოუთმინები;
მაგრამ შენ ჩემთვის, საბრალო,
რისათვის ჰკვდები და ჰბნდები?

შა, მიმანებე ჩემს ბედსა;
ცრემლი არ ახლად მდენია;
ჩემ საახლებად კმარიან
აქა მხეცთ სიმრ ვლენია.

ასმ ო.

ე მაგას რასა მიბრძანებ,
მგე რა მოვისმინეო!
რა ვჰქმენ ბედკრულმა ასეთი,
თავი რით მოგაწყინეო?

ტარიელ.

შემინდე, დაო, გაწყინე,
ვაგლახ, შმავით, ენითა.
თვით კარგა იცი, ვითა ვარ
საწუთროისა თმენითა.

შენა ხარ ჩემი ნუგეში
ერთგულობითა შენითა;
სალბუნი წყლულთა, რომლითა
ცას მოუკავარ ზენითა.

მაგრამ ტირილი რას შარგება?
ვერ მანუგე შებს ბედერულსა!
მხოლოდ ნე! ტანის ალერსი
გამიცის კოვნებს გლას გულსა.

მოეჭვება, შევა ტექში.

სანახავი 2.

ავთანდილ რა ჩამოვა ხეზე, მიუახლოვდება ასმათსა.
ასმათ დაინახავს თუ არა ავთანდილს, გაიძევგა. ავთანდილი დააუენებს.

ასმათ დაიკივჭებს.

ტარიელ...

ავთანდილ.

ჰსულე, რამც გიყავ,
ძაცი ვარ აღამიანი,
უფერო ქმნილი მინახავს
მარდი და რგი იანი.

მისი რამ მითხარ, ვინ არის
ტან სარო, პრაბაკმიანი?
სხვად არას გიზამ. ნუ გეშის,
ნუ ჰყივი ეგრე ხმიანი.

ასმათ.

ვაიმე! ყმაო, რა გრნდა?
ანუ მენუკვი მე რასა?
მაგა საქმესა ვერა იქმს

შერცა კალამი წერასა.

შენ ერთხელ იტყვი, მითხარო,
 მე აჯერ გეტყვი ვერასა;
 მითა სიცილი ტირილსა,
 მიჯობს ვაგლახი მღერასა.

აფთანდილ დაიჩვენებს და შეეხვეწება.

მალო, არ იცი, სით მოვალ,
 რა კირი მომითმენია;
 რდეთგან ვეძებ ამბავთა,
 მსე არ ვისგან მსმენია.

შენ მიპოვნიხარ, სიტყვანი
 ჩემი რაზომცა გწყენია;
 შერ დაგეხსნები, მიაშე,
 ჩემგან ნულარა გრცხვენია.

ასმათ.

დამეთხოვე, რას შევესწარ.
 მე ვინ ვარო, ანუ შენო?
 მზე არ მახლევს, შეგეტყვების,
 თრთვილო, ამით მე მაწყენო!

ზრდელი სიტყვა საწყინოა,
 ასრე მოკლედ მოგახსენო;
 შერასათვის ვერ გიამბობ,
 რაცა გინდა, იგი ჰქმენო.

აფთანდილ წამოჭხტება და ხანჭალს იქრავს ხელს, ცალ-
 ხელს თმაში წაავლებს და ეტევის.

ეპა, ეპა მე ეზომი
 ჯავრი რაგვარ შეგარჩინო?
 რა გვარა თუ ამატირო?
 ცრემლი ცუდად დამადინო?!

ზიჯობს, მითხრა, ამის მეტი
 მართ აღარა არ გაწყინო,
 თვარა ღმერთმა მტერი ჩემი
 მოჰკლას, ვითა მოგაკვდინო.

ასმათ.

ჩემი სიკვდილი შენ ჩემად
 პატიჟად ნურად გვონია.
 მით რომე დამხსნი ტირილსა,
 შემშრების ცრემლთა ფონია.

ჩალად მიჩნს ყოვლი სოფელი,
 მისთვისვე შემიწონია,
 ვერ გიცნობ, ვინ ხარ, ვის გითხრა
 სიტყვანი მისანდონია.

თუ არ მომკლავ, არ მოვჰკვდები,
 მრთელი ვარ და მოუკლავი;
 ძვლავ თუ მომკლავ, სასაუბროდ
 აღარ მედგას ზედან თავი.

ავთანდილ ხელს ათდებს და დასჯდება ცალკე, ასმათიც
 ცალკე დასჯდება: მცირე ხასს უკან.

ვარ მიჯნური ხელი ვინმე
 ბაუძლებლად სულთა დგმისად;

ჩემმან მზემან გამომგზავნა
საძებარად ამა ყმისად.

ორისაგან ერთი მიყავ:
ტყვე მქმენ, ანუ მააზატე,
ან მაცოცხლე, ანუ მომკალ,
შირი ჭირსა მომიმატე,

ასმათ უფეხანის შემდეგ.

ტარიელ არის სახელი
ამა მოყმისა ხელისა,
მე ასმათ მრკვია, რომელსა.
შვა მაქვს ცეცხლისა ცხელისა.

მოესმის ტარიელის მოსველის ხმა.

ხმა მომკსმა, მოვა, ღმერთმან
მოგუა უამად, რაცა გინა,
მაგრამ თავი უჩინო ჰყავ,
დამალული იყავ შინა.

დაჭმალავს ავთანდილს ქვაბში. ტარიელ წარბებ-შე-
კრული შემთდის ნელის ნაბიჯითა. ასმათ ჩამოართმევა
იარადს და გაუშლის გეფხას ტეავსა.

რად დაპბრუნდი ასე ჩქარა,
მითხარ, რამცა წაგეკიდა?

ტარიელ.

გზასა ზედან მონადირე
ორი ვინმე გადმეკიდა,

რა დავჭინუნ, შემოვჭიბრუნდი,
ტყესა შიგან დავიმალე;
ვსთქვი, ნუ თუმცა უკუმრიდა,
რა გათენდეს, წავალ ხვალე.

ასმათ ტირილით.

ხელმწიფეო, მხეცთა თანა
იარები მარტო ტევრად;
მას მაგითი ვერას არგებ,
დღეთა შენთა ცუდად ჰლევ რა?

მრთი კაცი შეიაქცევრად
შენად ვითა დაგელია?
შენ მაჲკვდე და ისი წაპხდეს,
შენთვის რა ხელ საყრელია?

ტარიყუ.

ძვირფასო დაო, ეგ არის
მზგავსი შენისა გულრსა,
მაგრამ არ არის ქვეყანად
წამალი ამა წყლულისა.

ვის ძალ უძს პოვნა კაცისა.
თვით სოფლად არ მოსულისა;
უშენოდ ჩემთან ვინ გასძლოს
გაყრა ხორციდ და სულისა?

ასმათ.

გე კვლავცა გკალრე, გაგრაჯე
გეტითა შეონებითა,

მაგრამ თუ კაცი მოგვარო,
მოგყვეს თავისა ნებითა,

იგი გრახლოს, ილხენდე
მისითა შემეტნებითა,
ჰფიცე, არ მოჰკლა, არ იყო,
არ, სავნებლისა ვნებითა.

ტარიელ.

დია ლმერთო, თუ მიჩვენებ,
გვნახავ, დიდად გავიხარებ;
სიყვარულმა მისმან, ვისთვის
ხელი მინდორს თავსა ვარებ,

არას უზამ უგემურსა,
არად ოდეს გავამწარებ;
რაცა ჩემგან იამება,
ვაამებ და შევიყვარებ.

ასმათ გამოიყვანს ქვაბითგან ავთანდილს.

ავთანდილ გაუწვდის ხელს ტარიელსა, ტარიელ ჩამო-
ართმევს. ბაუზა.

გმირო ტარიელ, არაბეთს
მაჭვს ჩემი დარბაზებია.
მე პატრონისა ჩემისა
ასული შემყვარებია.

შენ მინდორს გნახეთ, გახსოვსმცა,
ჩვენ რა გვარ წაგეკიდენით;
გიხმეთ, არ მოხველ და უკან
ლაშქარი გამოგვარდენით?

პატრონმა მრქვა: სუან ამბავი
მის ყმისა დაკარგულისა.
შენითა კვლავცა მხვდეს ჭვრეტა
მის ტანის ალვა რგულისა.

ტარიელ.

აწ ვაშად მოჰველ, მიამა
ნახვა შენისა პირისა,
თუ ჩემი თქმითა შევიძელ
შენი დალბობა ჭირისა.

ინდოთ მეფესა ქალი ჰყვა
ნესტან პირითა ვარდითა;
ასმათ და ორნი მონანი
ახლდეს, იმღერდის ნარდითა.

რა ერთხელ მეფის კარს მყოფმა
ძალს თვალი მოვჰყარ, ლახვარი
მეცა ცნობასა და გულსა,
მით ვიქმენ ეშით დამწვარი.

ასმათ.

ნეტამც იმ დღეს, როცა დარბაზს
მოჰველ მშვენი; მზისა დარი!
მოიკითხე ვარდი შენი
შფლრჩქვნელი, დაუმჭკნარი.

ტარიელ.

შეფიცენით ერთმანერთსა
სიყვარულის გამტკიცებით,
მაგრამ ქალსა დაუპირეს
მათხოვება დაუინებით.

სიძელ შვილი მოიყვანეს
ხვარაზმელი ხელმწიფისა;
როგორც ვჰნახე, არ დავჭყმუნდი,
ვსთქვი აღება მის სისხლისა.

ძარვის კალთა, სად ყმა იწვა,
ჩავსჭერ, ჩავაკარაბაკე,
შმას ორთავ ფეხთ მოვეეკიდე,
თავი სვეტსა შეუტაკე.

იგი ლლეა, ტყელ გაჭრილი
ვეძებ ჩემსა მზექალასა,
ვიძმობ, ვიდობ ადამიანს,
ვინც იქმოდეს ჩემ შველასა.

ვაი მე! იმას მოვჰშორდი
და ლლე მე კიდევ შემრჩების!
აპა, მაკვს სარე, რომელი
ძვლავ წინას მკლავსა მას ების.

აპა ეს არის, რომელი
არვისგან დაიფასების:
მაგრამ თვალთა დამიბნელდა,
მუხლები მომეკეცების.

გულს შემოეურება და მკვდარივით დაეცემა. აფთანდილ
ხელს მიაშველებს.

აფთანდილ ასმათს.

სიცოცხლესა გაეყრება,

მომაშველე წყალი ჩქარა.

პნახე, ბეღმა ლხინსა შემდეგ
მყისვე ვითა დამამწარა.

ასმათ მოუტანს წყალსა და აფთანდილ შეასხამს.

ფარდა.

სურათი IV.

ვაკმანი, მოახლე, ავთანდილ, ხორო, სოლი-
სტი ქალები, ჩაჩნავირი.

ფატმანის დარბაზის მშვენივრად მორთული ხალ-
ვათხანა, სხვა და სხვა ადგილს სხვა და სხვა გვარად საშ-
კაულ-იარაღებით მოწეობილი. ცალი შხარე თთახისა გახ-
სხილია, აღმოსავლეთის ჩვეულებისამებრ, ბაღისგენ, რთ-
მელსაც ამშვენებს უვავილ-ნარი და შადრევნები.

სანახავი 1.

ფატმ. ნი მარტო.

იმ წამს, აქ ვპნახე თუ არა
ჰაკარი ახლად მოსული,
დავჭკრო, გავსწითლდი, გავჭითრდი
სურვილისაგან ძლეული.

ზედვე დამესო საბრალოს
ლახვარი გულ-სახეული;
შერ დავსთე, შევატყობინე,
რითი მაქვს გული სნეული.

შემოდის მოახლე, რომელიც წიგნს მიაწოდეს.

მოახლე.

მსე წიგნი არის ოქვენთან
უმა ვაკრისგან მოტანილი.

ფატმან.

აბა სადა? ჩქარა მომეც,
მიმღის გული დაკრთობილი.

წიგნს ჩამთართმევს.

ამაშია ბედი ჩემი
შოველივე გადაჭრილი;
ან ცოცხალი უნდა დავჭრე,
ანუ მწარე მხვდეს სიკვდილი.

დაიწყებს ხმა მაღლა კითხვას.

„შოგეწერა, წავიკითხე
შენი წიგნი, ჩემი ქება, . . .
შენ მომასწარ, თვარამ შენზე
მე უფრო მჭირს ცეცხლთა დება.

„შენცა გინდა, მცცა მინდა
განუწყვეტლად შენი ხლება,
შეყრა არის პირიანი,
ორთავეა რათგან ნება“.

უბრძანებს მთახლეს.

ამ ბალჩაში შადრევნების
პირს იყოს სუფრა გაშლილდ,
ძალთ იცეკონ და იმღერონ
შმა ვაჭრისა ქება ტკბილად.

მთახლე გადის. ფატმან თავს იჯამაზებს ავთან-
დილის მოსულამდე.

აგთანდილ შემოდის, ხელში უჭირავს დახტი, რომელ-
საც დასდებს.

მოუთმენელად მინდოდა
ნახვა თქვენისა პირისა,
ოვალთა, ნათლისგან რომელთა
ძაკა ბედი გამოსჭვირისა.

თავისთვის.

მსე დიაკი აქა ჰზის
ძაკათა მნახველი მრავალთა;
ნუ თუ ნესტანის იცის რამ,
გზნება დამიცხროს მით ალთა.

ფატმან.

ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი
შენზედ რად არა ჰკრთებიან?
სრულად დამკარგარ, თუ მზისა
შუქნი არ მომესწრებიან.

ბული ვერ გასძლებს ნიაღაგ
შავთა წამწამთა სობასა,
თუ რას მეწევი, მეწიე
ოვარა დავჭკარგავ ცნობასა.

გადაეხვევიან ქრთმანერთს. ფატმან ხელს მოჰკიდებს დ
ჩავლენ ბალში, სუთრას მოუსხდებიან. შეიქმნება ქაჯების
და ფერიების შეშრობა ბაჯეტის უაიდაზე საკრავ შეწ-
ეობითა.

ხორთ ჰელენის.

ლანინი კაცისა
 სიხარული,
 სიყვარულია;
 შმისოდ გული
 ბანდ მოცული
 დაჩიგრულია.

ერთი ქალი ჰელენის.

ვითა ყვავილი,
 დანამსილი
 მზის მცხუნვარებით,
 ელის ცივ წყაროს,
 მოჩანჩქაროს,
 ვერ მოთმინებით,
 მგრე დამხმარნი
 და დამჭკენარნი
 პვლავ მოვსცოცლდებით,
 როს გვიზის ქალი
 ბროლ მჭვირვალი
 მოყვარულია.

ხორთ.

ლანინი კაცისა... და სხვა.

ვეორე ქალი.

და ზღვა და ხმელი,
 მრთლად სოფელი

მით კოცხალია;
 მოსცემს ნათელსა
 ბნელ ქვესკნელსა
 ძეკლუცთ თვალია.
 ვერცხლი და ოქრო,
 პუთ სანატრო,
 პრც სათვალია.
 ზულის იმედი,
 ლხინთ მომცემი
 მხოლოდ ქალია.

ხორო.

ლხინი კაცისა... და სხვა.

ორი ქალი.

აქ არ იქნება შელონება,
 ჰხარობდეს გული;
 აქა ღიმილი, ტყბილ სურვილი,
 ჰფლობს სიყვარული.
 ზულს სანავარდსა, ფურჩქნილ ვარდსა
 დასტრფის ბულბული;
 სამოთხის კარი, შუქ ცისკარი
 ბალებულია.

ხორო.

ლხინი კაცისა... და სხვა

ფატმან ხედს მოჭედებს ავდანდიფსა, ტახტე
 დაჰსევამს და წამოუწება.

შე ალმური სიყვარულის
 მიღავავს გულს საბრალოსა.

ამ დროს ჩაჩნაგირა ფატმანის კარებს შემთაღებს
და ჩადგება, ხორც მორიდებული დაიწევს უკან.

ჩაჩნაგირი.

ნუ ჰერთები, არა არ გიშლი
მაგა ლალობა, წოლასა;

ჰეგავს თურმე, არა ელოდი
აქ ადრე ჩემსა მოსვლასა.
ზაგითენდების, განანებ
მაგა მოყმისა ყოლასა.

ზამკიცხე, მაგრამ სცნობ პასუხს
მაგა საქმისა მზღვეველად;
დავჭრალო, წვერთა ფუ მიყავ,
ხელი ლა ფრიბოდე ტყე-ველად.

კარს გაიხურავს.

ფატმან შოჰეგება ტირილს და ვაებას.

ვაი! ვაი! მოვჭკალ ქმარი,
ამოვსწყვიტენ წვრილნი შვილნი;
იავარ ვჭყავ საქონელი,
უსახონი თვალნი თლილნი.

ავთანდილ.

მგე რა არის? სთქვი, რა გჭირს,
რისთვის ხარ გამწარებული?
რას დაგეჭადა იგი ყმა,
რა საქმედ იყო რებული?

ფატმან.

ლომო, ნუ მკითხავ ამბავსა,
გერცა რას გითხრობ ენითა.

თავი მოვიყალ უთმინო
სიყვარულითა შენითა.

ნუ მიჩვენებ შენს სიკვდილსა,
იგი მოჰკილ, გაგვიხარე,
დროსა ნურად ნუ დაჰკარგავ,
წალი, საქმე დააჩქარე.

როგორც კი მოჰკილი იგი ყმა
ჩემად გულისა მტხანელიად,
ბეჭედი ჩემი აცვია,
მას გვედრებ მოსატანელიად.

გთანდილ ლახტს აიღებს და გავა. ფატმან განაკრ-
ძის მწერალედ.

ლახტი აიღო გავიდა
უმის ბოლო მოსალებელიად!
ავთანდილც მოვჰკილ, უმანკო
შვილთ გავჰხდი ამომწყვეტელიად.

დამეს თავ სი შუქითა
ნუ თუ მინათებს კვლავ მთვარე!
თავს წაიგლიჯეთ, ზე დამრთეთ
მოთქმა გოდების ხმა მწარე.

უველანი თავსახურავს წაიგლეჯენ და გაიშლაან თმებს.
ერთი ქალი მოსთქვამს.

წიგლოვოთ ჩვენი

უბედობანი;
ბადავიყაროთ
თავსა ნაკარი;

ვიცეთ მკერდს, თმათა
ვიწყოთ გლეჯანი,
ბვდიოდეს თვალთა
ცრემლისა ლვარი.

გადაიჭედიან ბეჭთა და იწყებენ გოდებას.

ხორო ხმა მაღლა ჰეგოდებს.

ვაი ჩვენს ბედსა,
რას მოვესწარით!

სხვა ქალი გოდებით მოსთქვამს.

ღიაღი ლჩინი
ბვიმძიმს სიმწარით.

ხვალ ჩაჩნაგირი
რისხვით ღიას მგზნებარე
შინ მოგვიხდება
ჩვენთა სისხლთა მჩქეფარე!

ღმერთო მაღალო,
ბვისენ ზენარით!

ხორო ხმა მაღლა ჰეგოდებს.

ვაი ჩვენს ბედსა,
რას მოვესწარით!

ერთი ქალი მოთქმით.

ფატმან, ჩვენ გექმნეთ

ჭირის ნაცვალი,
მწარედ გვაწუხებ!
სვე შენი მწყრალი.

შენთვისა ვჰგოდებთ
და შენთვის ვსტიროს.

ხორო ხმა მაღლა ჭირდებს.

ვაი ჩვენს ბედსა;
რას მოვესწარით!

ფატმან

გაპხმენ ძუძუნი,
რომე ვაწოვე შვილთა,
ჩემთა ნუგეშთა
მბრწყინავთა დღეთს ტკბილთა.

სხვა ქალი მოსთქვამს გოდებით.

როგორც მოჰკვეცენ
ბასრნი ცელნი ყვავილთა,
ისე ჩაჩნაგირ
ბაგვაწყვეტს ბავშთა ჩვილთა.

კაცო მძვინვარე,
მს არის სიყვარული?
უნდა გაპგმირო
წინარე სატრფო გული!

ხორო დაიჩოქებს და ხმა მაღლა შეჭდადადებს დმერთს.

სხვანი უვეჯანი დაემხბიან.

ლმერთო მაღალო,

Աչա ցցումնեց,
Մշնց ցցուլենց!
Ցալմոցը կը պոտ
Մաշրուլու պարուէ
Հազսց պը պելու.
Իզենդացու մջին եծառո.

ագտանդուն Շյմթառու.

Խատունու, մոցքյալ պմա ոցու,
Ըլու զըլար Ֆնաեռու մհունու;
Աքա տոտու լա ծըկցունու,
Աքա լանա սուսելունու.

Եռկու.

Ալարու զմարտյեծու զուլցիա;
Ցցը մնա մոյարացը լու լունու!
Մոցլու ծոլու գանսապւլցու,
Մելու զարու տացուսպալու!

Ճամկերից յարմանուցը.

Շագման ազտանդունու.

Թուսու մյունդու Շունու, մհովունու.
Իւ կու լազքինիու իզեն պութալու,
Ցուլու մոցքյ ցուլուսատցու,
Ցուտերու մոցլցու ևլու մարտալու.

Վրտելու զնաեց, ոնդուտ պմատա
Օպաց մոչիցանդատ ըլուրդա վալու.
Ցըծրմանց, մատացու վայրումուտ,
Մոյրուտուտ, զուտ լցուրդալու,

ავთანდ ლ მოისურვილებს. თავს შეიმაგრებს.

მაგა ამბისა მოსმენა
თუმცალა სასურველია,
გვიჯობს, სხვა დროსთვის გადავდოთ,
მოლხენა სარგებელია.

ხორო ჰმდერის.

ლხინი კაცისა... და სხვა.

ავთანდილ და ფატმან ერთმანერთს გადაეხვევიან.

ფარლა.

ს უ რ ა თ ი ვ.

ფერია, ნესტან დარეჯან, დუღარ, ფატმანის ქა-
ჯი, ტარიელ, ფრიდონ, ავთანდილ.

ქაჯეთის ციხეში ნესტან დარეჯანის ტურთად მორთული
თთახი. საკულმით მთხსნას ქალაქი და კოშკები ციხისა.
ზედ დამცველნი არიან.

ნესტან დარეჯან შავებში ჭრის და სტირის.

ფერია.

დასწყინარდი, არ შეჲამ, არა ჰსვამ,
არ გაქვს შეშრობა თვალისა,
თუმც ბარ პატიმრად, ეგრეც გაქვს
პატივი დედოფალისა.

არა ფერსა არ მიბრძანებ,
რა ვჲყო მე გლახ შენად შველად?
შენი ცქერით ვიტანჯები
დღეთა კრულთა დამწყევლად.

ნესტან დარეჯან.

საბრალობელო, შენ რა გრჯის?
რისათვის იწყევ სვ თაო?
რას აქნევ ამბავთ ამ ჩემთა
შავად ნაქსოვთა დღეთაო?

არსით არ არის წამალი
ჩემთა დამჭირთა სენთაო.
ღმერთმა გამწირა, არ ველი

ქაცთაგან მე ნუგეშთაო.

ფერია.

შიკი ხარ უცხო მიჯნური,
 მზე გშორავს მანათობელი.
 ამად მებრალვი უმეტეს,
 გდის ცრემლი შეუშრობელი.

მითხარ, ვინ არის? სად ვსძებნო,
 შაცნობო შენი ამბავი;
 მით ვჰპოოთ ღონე რაიმე
 ჩვენ შენი გასაპარავი.

ნესტან დარეჯან.

მე მაგას ვერა, ვერა ვიქმ!
 მგე რა მოსაგვარია?
 ისევ ის მიჯობს, მდიოდეს
 სისხლისა ცრემლთა ლვარია.

სად გავიპარო? სად ვიყო,
 ადგილსა ვჰპოებ რომელსა?
 სად მივეფარო მე ბედსა,
 ჩემზე სასტიკად მწყრომელსა?

გულის თქმით.

შენ საყვარელო, რომელმა
 მარტოდენ შემიბრლეო,
 უკანასკველი სურვილი
 შენ ჩემი მიითვალეო:

როდესაც მოვჰკვდე, ესე ჰქმენ,
ამითი შემიწყალეო.
მს ჩემნი შავნი რიდენი
საფლავში ჩამაყოლეო.

დუღარ შემოდის თავისი ამალითა, ფერია გადის.

ნუ სტირ, ხარ ჩემგან ნასყიდი,
ტყვე გზასა ზედან პყრობილი;
ვინ ხარ, არ ვიცით, არცალა
ზვარია შენი ცნობილი.

თუმცა მხევალ ხარ, გიყურებ,
ვით საყვარელსა ასულსა,
მინდა, რომ ცოლად შენ მიგცე
როსანსა ჩემსა ძმის წულსა.

მსეთია, აპა, ჩემგან
დღეს ნამზადი შენთვის ქმარი;
ტყვე აპხდები ტახტსა, გედგმის
თავს გვირგვინი მნათობარი.

ნესტან დარეჯან.

არა, არ მფერობს გვირგვინი,
არც ტახტთა სიმძლავრენია;
შოველი კაცთა დიდება
ჩემთვის არს მოსაწყენია.

ცრემლია ჩემი ნუგეში
და ჩემი მოსალხენია;

გამიშვი, გნუკევ, სრას მიჯობს
სადგურად კლდე და ღრენია.

ჩემს გარდა სხვაცა მრავალი
ასული მშვენიერია;
ღმერთმა ჰქმნას, თქვენსა ძმისწულსა
ჰქვდეს ცოლი შესაფერიო.

დუღარ.

მგ არის ჩემი პასუხი
და ჩემი სამაღლობელი?
მე დედოფალი მხევალსა
გეპყრობი, ვითა მშობელი!

არ იცი, რომე შენ ტყვე ხარ?
ტყვესა ვინ ჰქითხავს ნებასა?
ძარგი, გაჰყროთხილდი, ნუ განსცლი
შენ ჩემსა მოთმინებასა.

ნესტან დარეჯან.

საითგანა ვარ შენი ტყვე,
რა ბრძოლა გადაგხდომია?
რომელი ციხე-ქალაქი
შენ ხმლითა დაგიმონია?

შენს სამეფოში მეკობრეთ
შემიპყრეს გზათა მავალი.
მეფე ხარ, რისთვის არ ჰქითხე,
ძაცნო, ვინ მოგცათ ეგ ქალი?

მე ნუ გვიციართ უთვისო,
ნუ ხართ ბრიყვთაებრ შემცდარნი.
ჩემ გამომხსნელად ძოვიდენ
ლომგულნი გმირნი ღიღძალნი.

ნუ მინდობიხართ ციხესა,
რა გინდ რომ გქონდეთ მაგარი;
ჩემის გულისთვის მოგაგონ
პატიფი დიახ ბევრ გვარი.

დულარ თავისთვის,

ჩემგან ნასყიდი ფასითა
მონა მექადის შე რასა!
მე ამის მეტსა პასუხსა
არას ვალირსებ არასა.

ნესტან დარეჯანს.

რათგან ბოროტად შენ ჩემი
შეურაცხ მიყავ წყალობა,
დაძალვით მიგცე როსანსა,
არა ვჰქმნა ამის ცვალობა.

გადის.

ნესტან დარეჯან.

არ გაძლა ჩემი დევნითა
სვე ჩემი უწყალობელი!
თარიელ... სად ხარ აწერა,
ადგილი გფარავს რომელი?
არამ სოკოცხლე უშენო!

გარ აქამდისცა ნანითა,
ან თავსა კლუეთა ჩავიძევ,
ანუ მოვიკლავ დანითა.

ნუ, ნუ პფიქრობ, დედოფალო,
მაშინებდეს სიმკაცრეო,
ან მუქარამ მაქმნევინოს
დალატი და სილაფრეო.

გულის თქმით.

ჩემნო მშობელნო, თუ ჯერეთ
ჰიდევ სკვრეტთ მზისა ნათელსა,
შოველი ბრალი შესდევით
მიჯნურობასა ჩემს ხელსა.

დაიჩოქებს და იფოცავს.

ჴე ღმერთო, ღმერთო ძლიერო,
რომელსა გესავს ყველაო!
მაღლითგან ჰხედავ, არ საით
არ გამაჩნია შველაო.

თუ დღეთა ჩემთა საბელთა
ჩემი მომიკვეცს აწ ხელი,
ნუ დამსჯი, ღმერთო, ამისთვის,
შექმენ მოწყალე, მლმობელი.

აქა გაყრილნი შეგვყარნე,
საღ არს ნათელი ცხოველი,
საღაცა ჰხრობს შენ წინა
ძეთილი სული ყოველი.

ფატმანის ქაჯი შემთდის ნაბად-წამისხმული. გადას-
ცემს წერილსა. ნესტან დაჭკრთება.

დედოფლო, ვინ გგონივარ,
ანუ ეგრე რაღ დაპკრთები?
მე ვარ მონა ფატმანისა,
თქვენს წინაშე ნამგზავრები.

ამა წიგნმა გამამართლოს,
არ ტყუილად გეუბნები.
მზისა შუქნი მოიცადნე,
ვარდო, ადრე ნუ დასჭკნები.

ნესტან დარეჯან ჩამოართმევს წიგნსა და ხმა შადჭა
წაიკითხავს.

„ფატმან გწერ: „აპა მნათობო,
სოფლისა მხეო ზენაო!
სიტყვა მჭევრო და წყლიანო,
ტურფაო, ლამაზ ენაო!

შენთვის ხელქმნილი ტარიელ
ამბითა მოვალხენიე!
ორნივე მიჰხვდეთ წალილსა,
იგი ვარდობდეს, შენ იე.

მოსული შენად საძებრად
მისი ძმად შეფიცებული
ავთანდილ, მოყმე არაბი,
არაბეთს შინა ქებული.

შენი ტყვეობის ამბავი.

შოველი უთხარ იმ მდევ-გმირს,
თუ რა წვალება გადაგხდა,
ან იმყოფები რა აღგილს.

უამბე, თუ ვითა გპოე,
მონამ ვითა მოგიყვანა,
ვით მეწადა შენი მალვა
ჩემმა ქმარმა გამამულავნა

ჩენს მეფესთან, ვის უნდოდა
ძისთვის ცოლად შერთვა შენი,
ვით გაუსხლდი მეფეს ხელთა,
ცხენით ვით ვლე კლდე და ლრენი.

ვითა ქაჯთა დაგიჭირეს,
ჩაგსვეს ციხეს ცხრა კლიტულსა,
ტანჯვა ვითა მიემატა,
შენს ისედაც დამწვარ გულსა.

შენი ყველა აქამდისი
ჭირი ლხინსა გაათავნე;
ღმერთსა უნდეს მოყვარენი
შესაფერნი შეგაზავნე“.

ქაჯსა.

ესე რა არის? რა მესმის?
ვინ არის ჩემი მძებნელი,
ანუ ვინ მიცის ცოტხალი,
მიწასა ზედან მტკეპნელი?

ქაჯი.

აწ ვინმე მოყმე მოვიდა,
მშვენიერითა პირითა.
იგია შენი მძებნელი
მკვლავითა, ვითა გმირითა.

ნესტან დარეჯან.

აწ ი დია მემართლების,
ყმაო, შენი ნაუბარი.
ზატმან ჩემი რა, იცოდა,
ვაკავ ვისი წანაგვარი?

ულონიოდ არის თაღმე
ჩემი ცეცხლთა მაღებარი,
მე მოუწერ, შენცა ჰკადრე,
ვარ ვითამცა გულ-მდუღარი.

მცირე სანს დაფიქრდება და ეტევის.

შეგიძლია ამ ციხითგან
მხლავე მე გამაპარო?

ქაჯი.

თქვენთვის დავსდებ თავსა ჩემსა!
მაგრამ როგორ მოვაგვარო?

ყველგან დგანან დარაჯები!
გზა მე ვითა გავიარო?
შამი მინდა, ამად რომე
ხელოვნება მოვიხმარო.

ნესტან დარეჯან.

მაშა ცუდად დამაშვრალა
ჩემი იგი მაძებარი!
დედოფალსა უნდა ძალად
დღეს მომგვაროს აქა ქმარი.

მაგრამ უწინ გულს გავიპობ,
დავეცემი მის წინ მკვდარი.

ფერია შემოვარდება გაფითოებული.

ლმერთო, ლმერთო, დაგვიფარე!
რა განსაცდელს შევესწარი!

ნესტან დარეჯან.

რა დაგმართნია, რა არის?
რასა სთოთი? რას უჩქარები?

ფერია.

თავსა უშველე მალიად!
შენთვის ვსძრწი, შევიზარები.

მსეა ამა ქალაქსა
შემოჰევიან ჯარები,
სრულად დაპლეწეს ფოლადის
მაგარი ციხის კარები.

პრავინ იცის, რა არის,
მსე რა დაგვემართო,
საითგან შემოგვესია
ჩვენ ესე დასი მტერთო.

მაგრამ ხანს ნულარ დავჭკარგავთ,
უშველოთ თავთა ჩვენთაო.

მთისმის ციხის იერიშის ზათქი და ზარი. ქაჯები შემთ-
სცვიგიან. ხმალ ამოწვდილი ტარიელ უკან მოსდევს.
ქაჯები იარაღს დაჭურიან და დაემხდიან.

შებგიწყალე, ნუ დაგვხორცავ?

ნესტან დარეჯან იცნობს ტარიელს.

ტარიელ!...

ტარიელ. შენა ხარ, ნესტან?!

ხმალს გადაგდებს და გადაეხვევიან ერთმანერთსა ამ
დროს შემოდიან ავთანცილ და ფრიდონ ჯარებითა. ტა-
რიელ გააცნობს ნესტანს ფრიდონსა და ავთანდილსა.

მეფე ფრიდონ და ავთანდილ
ჩემნი ძმალ შეფიცებულნი.

ნესტან დარერან.

რა მაღლობანი შეგვადროთ,
შართ თქვენგან გაცოცლებულნი.

ფრიდონ და ავთანდილ მძიმედ თავს დაუგრევ.

ტარიელ.

დაღეს სისხლის ლვრა! ქაჯები

გაიხსნენ დატყვევებულნი!
ჩემი შვებითა იშვებდენ
ყოველნი შეჭირვებულნი!

ფარდა.

ଅନ୍ତର୍ମାଣ.

କାଳିଚିତ୍ରଙ୍ଗାନ ମେଘରୁଷ ଶାଲ୍ଲୁହାତକାନ୍ଦାସା ରୁ ଦୂରମୀ କୃତକର୍ତ୍ତିରୁଣ
ପ୍ରାଣିରୁଷରୁଷ ରୁ ବୃତ୍ତାନ୍ତରୁଣରୁଷ ପ୍ରାଜୁଗରୁଷ ରୁ ଯୁଗରୁଷରୁଷ ଶ୍ଵର-
ପ୍ରାଣିରୁଷରୁଷ, ରାତ୍ରି ଶୁନ୍ଦା ମନ୍ଦରୁଷରୁଷ ମନ୍ଦରୁଷରୁଷ ପ୍ରାଣିରୁଷ ଶ୍ଵର-
ରାତ୍ରିରୁଷ.

